

[← უკან](#)[«წინა შემდეგი»](#)

საკასაციო საჩივარი

საქმის ნომერი	ას-1199-2019	კატეგორია	სამენარმეო სამართლებრივი დავა
თარიღი	20/01/2022	სახეობა	სამენარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დავები
შედეგი	დატოვებულია უცვლელად	დავის საგანი	ზიანის ანაზღაურება

გადაწყვეტილება/განჩინება

საქმე №ას-1199-2019

20 იანვარი, 2022 წელი,
თბილისისამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა:ლევან მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მირანდა ერემაძე, ვლადიმერ კაკაბაძე

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

კასატორი - შპს „გ. ფ-სი“ (მოსარჩელე)

მონინალმდევე მხარე - ჯ. ხ-ლი, შპს „პ-ა ჰ-გი“, შპს „პ-ა“, შ. ხ-ლი, ბ. გ-ლი, ნ. მ-ლი (მოპასუხე)

გასაჩივრებული განჩინება - თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 30 მაისის განჩინება და ამავე სასამართლოს 2019 წლის 6 ივნისის დამატებითი განჩინება

კასატორის მოთხოვნა - გასაჩივრებული განჩინების/დამატებითი განჩინების გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება

დავის საგანი - ზიანის ანაზღაურება

ა ღ ნ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა ნ ი ლ ი:

1. შპს „გ. ფ-სი“ (შემდგომ - დამფუძნებელი საწარმო, დედა კომპანია, მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ჯ. ხ-ის (შემდგომ - დირექტორი, პირველი მოპასუხე), ბ. გ-ის (შემდგომ - მეორე მოპასუხე, კრების თავმჯდომარე), სს „პ-ა ჰ-ის“ (შემდგომ - მესამე მოპასუხე), შპს „პ-ას“ (შემდგომ - მეოთხე მოპასუხე, მეორე აპელანტი), ნ. მ-ის (შემდგომ - მეხუთე მოპასუხე, მესამე მოპასუხის დირექტორი) შ. ხ-ისა (შემდგომ - მეექვსე მოპასუხე, შემდგომ ასევე ერთობლივად მოხსენიებული - მოპასუხეები, მონინალმდევე მხარეები) მიმართ და მოითხოვა მოპასუხეებისათვის ზიანის ანაზღაურების - 9 725 454 ლარის სოლიდარულად დაკისრება.

სარჩელის საფუძვლები

2. მოსარჩელის განმარტებით, 2011 წლის 20 მაისს მოსარჩელე კომპანიამ დააფუძნა შპს „პ-ა ფ-სი“ (შემდგომ - შვილობილი კომპანია, ლიკვიდირებული ან გაკოტრებულიად გამოცხადებული საწარმო), რომლის კაპიტალში შეიტანა ცხრა უძრავი ქონება (მათ შორის, მეოთხე მოპასუხის საკუთრებაში ამჟამად არსებული ხუთი უძრავი ქონება), სანაცვლოდ კაპიტალი განისაზღვრა 5 464 858.75 ლარით. კომპანიის დირექტორად დაინიშნა პირველი მოპასუხე. 2012 წლის 22 ოქტომბერს შვილობილმა კომპანიამ შპს „ბ- პ-გან“ (შემდგომ - გამყიდველი) შეიძინა ხუთი უძრავი ქონება. შვილობილმა კომპანიამ ფასის გადახდის სანაცვლოდ 2012 წლის 20 ნოემბერს გამყიდველს გადასცა თავისი 37.59% წილი; გამყიდველმა ეს წილი 2014 წლის 26 ნოემბერს მიჰყიდა სს „გ-სს“ (შემდგომ - მყიდველი ან შვილობილი კომპანიის მეორე პარტნიორი), (თავის მხრივ, ამ უკანასკნელი საწარმოს დამფუძნებელია სს „პ-კ პ-სი“, რომლის დირექტორი პირველი მოპასუხე იყო და რომლის გადაწყვეტილებითაც ახალი კომპანიის დირექტორად დაინიშნა ბ. გ-ლი (მეორე მოპასუხე). 2015 წლის 8 ივლისს მეორე მოპასუხემ განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და წარადგინა შვილობილი კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილება. სადავო გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ: 1) კომპანიის პარტნიორთა კრებას ესწრებოდნენ 100%-ის მფლობელი პარტნიორები: მოსარჩელე კომპანია და მეორე პარტნიორი; 2) პარტნიორთა კრების დადგენილებით არიან აღნიშნული პარტნიორები.

კომპანიის და სხვათა საფასურები, 2) საფასურების კონკრეტული შეფასების კონკრეტული მეთოდი; 3) პარტნიორთა კრებამ გადაწყვიტა შვილობილი კომპანიის - მესამე მოპასუხის დაარსება და ამ უკანასკნელის კაპიტალში 10 უძრავი ქონების შეტანა, რომელთაგან 5 მას მოსარჩელისგან ჰქონდა გადაცემული (შემდგომ - სადავო უძრავი ქონება), ხოლო 5 თავად ჰქონდა გამყიდველისაგან შეძენილი. სადავო გადაწყვეტილებას ხელს აწერს მხოლოდ მეორე მოპასუხე. ამ გადაწყვეტილებასთან ერთად, სამენარმო რეესტრში წარდგენილ იქნა შვილობილი კომპანიის (რომლის დირექტორიც გახლდათ პირველი მოპასუხე) გადაწყვეტილება მესამე მოპასუხის დაფუძნებისა და მის კაპიტალში 9 725 454 ლარის უძრავ/მოძრავი ქონების შეტანის შესახებ. მესამე მოპასუხის დირექტორად დაინიშნა ნ. მ-ლი (მეხუთე მოპასუხე).

3. მოსარჩელის მტკიცებით, შვილობილი კომპანიის პარტნიორთა კრება არ იყო უფლებამოსილი, მიეღო სადავო გადაწყვეტილება, კერძოდ, დაეარსებინა შვილობილი კომპანია და თავისი ქონება მასში გადაეტანა, რადგან კრებას არ ესწრებოდა კომპანიის კაპიტალში ხმათა უმრავლესობის - 62,41%-ის მფლობელი პარტნიორი - მოსარჩელე. ამ უკანასკნელს კრების ჩატარებისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია კი არ ჰქონდა. შესაბამისად, პარტნიორთა კრება არ იყო გადაწყვეტილებადუნარიანი.

4. მესამე მოპასუხემ შპს „ე. ბ. ს-ან“ ერთად, რომლის დირექტორი პირველი მოპასუხის შვილი - შ. ხ-ლი იყო (მეექვსე მოპასუხე), ხოლო 100% წილის მფლობელი პარტნიორი პირველი მოპასუხის მეუღლე, დააფუძნა მეოთხე მოპასუხე და ამ უკანასკნელის კაპიტალში შეიტანა 9 725 454 ლარის ღირებულების სადავო უძრავი ქონება. დაფუძნებიდან 9 დღეში (2015 წლის 15 ოქტომბერს) კი, მესამე მოპასუხემ თავისი წილი (მეოთხე მოპასუხე კომპანიაში) 3 000 000 ლარად გაასხვისა.

5. ამდენად, გაკოტრებული კომპანია, რომლის დირექტორიც გახლდათ პირველი მოპასუხე, და რომელსაც 2015 წლის 7 ივლისს ჰქონდა 10 მილიონზე მეტი ქონება და მიმდინარე ბიზნესი, 1 წლის შემდგომ გახდა გადახდისუნარო და 2016 წლის 31 ოქტომბერს სასამართლომ წარმოებაში მიიღო გადახდისუნარობის საქმისწარმოების გახსნის შესახებ მისი განცხადება. შესაბამისად, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ პირველმა მოპასუხემ, ჯგუფის წევრებთან - დანარჩენ მოსარჩელებთან ერთად, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მოსარჩელე კომპანიას. მოსარჩელის განმარტებით, მითითებული გარემოებები და თანდართული მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ დირექტორმა მოსარჩელე კომპანიის მიერ დაფუძნებული კომპანიის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის შეუზღუდავი უფლებით კომპანიის დაფუძნების მომენტიდანვე ისარგებლა და მისთვის გამოცხადებული ნდობა მხოლოდ კომპანიის საზიანოდ გამოიყენა. მან დაარღვია დირექტორის მოვალეობები და უძრავი ქონება უკანონოდ მიითვისა.

6. რაც შეეხება დანარჩენი ხუთი მოპასუხის მიმართ მოთხოვნას, მათ პირველ მოპასუხეს ხელი შეუწყვეს უკანონო მოქმედებებში, ხოლო, მეოთხე მოპასუხემ ისარგებლა მოსარჩელისა და მისი შვილობილი კომპანიისათვის მიყენებული ზიანით და თვითონ მიიღო სარგებელი. შესაბამისად, ვლინდება სოლიდარული პასუხისმგებლობის საფუძველი.

მოპასუხის შესაგებელი

7. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს. მათი განმარტებით, სარჩელი დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე - სამართლებრივი თვალსაზრისით. დამფუძნებელი საწარმო არასათანადო მოსარჩელეა, რადგან დერივაციული სარჩელი თავად კომპანიამ უნდა წარადგინოს და არა - პარტნიორმა.

8. 2015 წლის 8 ივლისს გაფორმებული და საჯარო რეესტრის მიერ აღსრულებული შვილობილი კომპანიის სახელით მიღებული გადაწყვეტილება შვილობილი საწარმოს - მესამე მოპასუხის დაფუძნების შესახებ კანონიერია. აპელირება იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელისათვის უცნობი იყო უძრავი ნივთების განკარგვის გეგმების შესახებ, სრულიად დაუსაბუთებელია. ლ. გ-ა (შემდგომ - დედა საწარმოს, დამფუძნებელი საწარმოს ან მოსარჩელე საწარმოს დირექტორი), როგორც მოსარჩელე კომპანიის დირექტორი, ინფორმირებული იყო დღის წესრიგის, შვილობილი საწარმოს დაფუძნებისა და მის კაპიტალში სადავო ქონების შეტანის შესახებ. მან კრებაზე მხარი დაუჭირა ამ გადაწყვეტილებას. კომპანიაში მიღებული პრაქტიკის თანახმად (2015 წლის 1 ივნისის კრების ოქმს, რომლითაც კომპანიის წესდებაში ცვლილება შევიდა, ხელს აწერდა არჩეული კრების თავმჯდომარე მეორე მოპასუხე; 2016 წლის 15 სექტემბერს პარტნიორთა კრების ოქმს, რომლითაც შეიცვალა კომპანიის იურიდიული მისამართი, ხელს აწერს კრების თავმჯდომარე - მეორე მოპასუხე), კრების ოქმს ხელი მოაწერა პარტნიორთა კრებაზე არჩეულმა თავმჯდომარემ - მეორე მოპასუხემ, რომელიც იყო შვილობილი კომპანიის მინორიტარი პარტნიორის დირექტორი. საგულისხმოა ისიც, რომ ამ უკანასკნელს მინდობილობა ჰქონდა მიღებული მოსარჩელის დირექტორისაგან 2012 წლის 1 ოქტომბერს უვადოდ. ამ მინდობილობით მას უფლება ენიჭებოდა, წარმოედგინა მოსარჩელე შვილობილი კომპანიის პარტნიორთა კრებებზე, მხარი დაეჭირა განსახილველი საკითხებისათვის. შესაბამისად, მოსარჩელის დირექტორს კრებაში მონაწილეობა მართლაც რომ არ მიეღო, კრება მაინც უფლებამოსილი იქნებოდა, ამიტომ მის კრებაზე ყოფნა-არყოფნა კრების უფლებამოსილებისა და ოქმის ნამდვილობის თვალსაზრისით არ არის არსებითი. ამდენად, მოსარჩელის მტკიცება, რომ მისთვის უცნობი იყო სადავო კრების თაობაზე ან სხდომა კანონის დარღვევით გაიმართა, საფუძველს მოკლებულია. შვილობილი საწარმოს დაფუძნება და მის კაპიტალში უძრავი ნივთების შეტანა შეესაბამებოდა შვილობილი კომპანიის პარტნიორების - მოსარჩელისა და მეორე პარტნიორის ნებას.

9. მოსარჩელე პირველ მოპასუხეს ფიდეიკუიური მოვალეობების დარღვევას ედავება, რაც დაუსაბუთებელია. საქმეში არსებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ სადავო უძრავი ქონება მეოთხე მოპასუხემ გაასხვისა და მყიდველმა მას ნასყიდობის საფასური გადაუხადა. ამ გარიგების დადების დროს (2016 წლის დეკემბერი) მეოთხე მოპასუხის პარტნიორები იყვნენ სს „ს. ე. ს.“ და შპს „ე. ბ. ს.“. გაუგებარია მხარის პოზიცია როგორ და რა ფორმით მიითვისა პირველმა მოპასუხემ ქონება და რა ზიანი მიაყენა მოსარჩელეს.

10. გარდა ამისა, მეორე და მეხუთე მოპასუხე მიიჩნევენ, რომ არასათანადო მოპასუხეები არიან, რადგან მათ მიმართ მოთხოვნის ნაწილში ვლინდება იურიდიული პირის ძმოობა პირიქით შემთხვევაში სს „ს. ე. ს.“ (შვილობილი კომპანიის პირი

საქართველოს სასამართლოს საპედაგოგო, სასაქონლო, სასაზოგადოებრივი და სასამართლო-სამართლებრივი კოდექსის (პარტნიორის), ვინაიდან 2015 წლის 8 ივლისის ოქმის მონაწილე იყო ეს უკანასკნელი. ხოლო მეორე შემთხვევაში - მესამე მოპასუხე კომპანიის, რადგან ეს უკანასკნელი იყო მეოთხე კომპანიის წილის ნასყიდობის ხელშეკრულების მხარე.

11. შვილობილი კომპანია გახდა მესამე მოპასუხის 100% წილის დამფუძნებელი მესაკუთრე. ეს 100% წილი შვილობილი კომპანიის გადახდისუნარობის საქმისწარმოების გახსნის მომენტისათვის მის სამეურვეო ქონებაში შევიდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსარჩელეს შვილობილი კომპანიის გადახდისუნარობის გახსნიდან მის გაკოტრებულად გამოცხადებამდე 14-თვიან პერიოდში სასამართლოსთვის არ მიუშვრთავს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით - სარჩელი არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 21 მარტის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება; მოსარჩელეს დაეკისრა წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული ხარჯი - 5000 ლარი მეხუთე მოპასუხის სასარგებლოდ.

13. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელემ და მეოთხე მოპასუხემ. მოსარჩელემ მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო მეოთხე მოპასუხემ გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით - წარმომადგენლის მომსახურების ხარჯის მოსარჩელისათვის სრულად დაკისრება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 30 მაისის განჩინებით, სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

15. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივრის ფარგლებში პალატას უნდა ემსჯელა, ჩატარდა თუ არა შვილობილი კომპანიის 2015 წლის 8 ივლისის პარტნიორთა კრება პარტნიორთა 100%-ის მონაწილეობით; პირველმა მოპასუხემ, როგორც საზოგადოების დირექტორმა, დაარღვია თუ არა ზრუნვისა და კეთილსინდისიერების მოვალეობა; შვილობილი კომპანიიდან მესამე მოპასუხე კომპანიაში უძრავ ქონებათა გადატანის მიზანი იყო თუ არა ამ ქონებათა მითვისება.

16. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ 2015 წლის 8 ივლისის პარტნიორთა კრება ჩატარდა კანონიერად, პარტნიორთა 100%-ის მონაწილეობით. შესაბამისად, არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, რომ კრება არ იყო უფლებამოსილი, მიეღო გადაწყვეტილება, ვინაიდან მას არ ესწრებოდა ერთ-ერთი პარტნიორი, კერძოდ, მოსარჩელე კომპანიის დირექტორი; 2015 წლის 8 ივლისის პარტნიორთა კრების ოქმში ცალსახად არის მითითებული, რომ მეორე მოპასუხე მოქმედებდა როგორც მეორე პარტნიორის წარმომადგენელი და არა - როგორც მოსარჩელის წარმომადგენელი. პალატამ მიუთითა, რომ საქმეში წარმომადგენელი იყო 2012 წლის 1 ოქტომბრის მოსარჩელე კომპანიის გენერალური დირექტორის დ. ქ.-ის (შემდგომ - მოსარჩელე კომპანიის ყოფილი დირექტორი) მიერ გაცემული მინდობილობა, რომლის თანახმად, მეორე მოპასუხეს მიენიჭა მეორე მოპასუხის პარტნიორთა კრებებზე წარმომადგენლის უფლებამოსილება. შესაბამისად, ამ მინდობილობის საფუძველზე, მეორე მოპასუხე, როგორც მოსარჩელის წარმომადგენელი, უფლებამოსილი იყო, სადავო პარტნიორთა კრებაში მიეღო მონაწილეობა და განეხორციელებინა მინიჭებული უფლება-მოვალეობები. მართალია, პარტნიორთა კრების ჩატარების დროს, 2015 წლის 8 ივლისს, მინდობილობის გამცემი აღარ იყო მოსარჩელე კომპანიის დირექტორი და კომპანიას ახალი დირექტორი ჰყავდა, მაგრამ საქმეში არ არის წარმომადგენელი მტკიცებულება, რომ მეორე მოპასუხის სახელზე გაცემული 2012 წლის 1 ოქტომბრის მინდობილობა გაუქმებული იყო საწარმოს ახალი დირექტორის მიერ და არ წარმოშობდა მასში მითითებულ უფლებებს. მინდობილობის ძალმოსილება მხარეთა შორის არსებული საქმიანი ურთიერთობის მანძილზე სადავო არ გამხდარა და არ არსებობდა მის კანონიერებასთან დაკავშირებით ეჭვის შეტანის საფუძველი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ არაარსებითად მიიჩნია აპელანტის მტკიცება (2019 წლის 2 მაისს გამართულ სასამართლო სხდომაზე), რომ მოსარჩელის იმუამინდელი დირექტორისათვის კრების გამართვის თაობაზე უცნობი იყო.

17. ამასთან, გამომდინარე იქიდან, აპელანტის ძირითადი შედაგება პირველი მოპასუხის მიმართ მესამე კომპანიის დაფუძნება იყო, ანუ ის, რაშიც პირველ მოპასუხეს მონაწილეობა არ მიუღია, გაუგებარი იყო, აპელანტს კონკრეტულად რომელ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიაჩნდა, რომ პირველმა მოპასუხემ, როგორც შვილობილი კომპანიის დირექტორმა, ზრუნვისა და კეთილსინდისიერების მოვალეობები დაარღვია და უძრავი ქონება მითვისა. რაც შეეხება კომპანიის გაკოტრებას, აპელანტს არ მიუთითებია ისეთ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე და არ წარმოუდგენია შესაბამისი მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა, პირველი მოპასუხის მიერ შვილობილი კომპანიის მიზანმიმართულად გაკოტრებას.

18. პირველი მოპასუხის მიმართ არ გამოიკვეთა არც სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი კომპონენტის - მართლწინააღმდეგობის, ბრალის, ზიანისა და მიზეზობრივი კავშირის არსებობა. შესაბამისად, პალატამ სსკ-ს 998-ე მუხლით გათვალისწინებულ დანარჩენ მოპასუხეთა სოლიდარულ პასუხისმგებლობაზე მსჯელობაც უსაფუძვლოდ მიიჩნია.

19. მეოთხე მოპასუხის სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით პალატამ მიუთითა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელეს დაეკისრა წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული ხარჯის - 5 000 ლარის გადახდა მეოთხე მოპასუხის სასარგებლოდ. პალატამ საქმის სირთულის, მისი განხილვის ვადებისა და წარმომადგენლის საქმიანობის დროის გათვალისწინებით, გონივრულ და ადეკვატურ

ოდენობად სწორედ სასამართლოს მიერ დაკისრებული 5 000 ლარი მიაჩნია და დაასკვნა, რომ არ არსებობდა მეორე აპელანტის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და მოსარჩელისათვის საადვოკატო მომსახურების ხარჯის სრულად - 20 544.56 ლარის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

20. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 6 ივნისის განჩინებით, მოპასუხეთა შუამდგომლობა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოსარჩელეს დაეკისრა წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული ხარჯის - 2000 ლარის გადახდა პირველი მოპასუხის სასარგებლოდ; 1500 ლარის გადახდა მეექვსე მოპასუხის სასარგებლოდ; 1000 ლარის გადახდა მეორე მოპასუხის სასარგებლოდ; მეხუთე მოპასუხის შუამდგომლობა წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული ხარჯის მოსარჩელისათვის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

კასატორების მოთხოვნა და საფუძველები:

21. ზემოაღნიშნული განჩინება მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა.

22. კასატორი მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავოა 2015 წლის 8 ივლისს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება, კერძოდ, კრება არ იყო უფლებამოსილი, დაეფუძნებინა ახალი შვილობილი კომპანია, რადგან მას არ ესწრებოდა მოსარჩელე და საერთოდ არც იყო ინფორმირებული ამ კრებისა და გადაწყვეტილების შესახებ. შვილობილი კომპანიის 2015 წლის 8 ივლისს პარტნიორთა კრების ოქმში ცალსახად არის მითითებული, რომ კრებას ესწრებოდა მოსარჩელის წარმომადგენელი მისივე დირექტორი. ეს უკანასკნელი კი აცხადებს, რომ საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა კრებაში და არც ჰქონდა ინფორმაცია კრების გამართვის შესახებ. შესაბამისად, მტკიცების საგანს სწორედ ის გარემოება წარმოადგენს, ესწრებოდა თუ არა მოსარჩელის დირექტორი 2015 წლის 8 ივლისს პარტნიორთა კრებას. თავად მეორე მოპასუხეც მის მიერ წარმოდგენილ შესაგებელში მიუთითებს, რომ კრებას ესწრებოდა მოსარჩელის დირექტორი. იგი არ ამტკიცებს, რომ მინდობილობის საფუძველზე მოსარჩელე კომპანიასაც თავად წარმოადგენდა. სააპელაციო სასამართლომ კი ეს ფაქტი არ შეაფასა და არ დაადგინა, ესწრებოდა თუ არა კრებას მოსარჩელის დირექტორი. ამის საწინააღმდეგოდ კი, დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მხარეებს არც კი მიუთითებიათ. სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მეორე მოპასუხე პარტნიორთა კრებას ესწრებოდა და მოქმედებდა, როგორც მოსარჩელის წარმომადგენელიც. გარდა იმისა, რომ სააპელაციო სასამართლოს ეს შეფასება ეწინააღმდეგება თავად კრების ოქმს, რომლის მიხედვით, მოსარჩელეს წარმოადგენდა მისი დირექტორი, იმ გარემოებაზე რომ კომპანიას მეორე მოპასუხე წარმოადგენდა თავად მოპასუხესაც კი არ მიუთითებია.

23. საკასაციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს და რომელი მტკიცებულებებით უნდა დაადასტურონ ეს ფაქტები. შეჯიბრებითობის პრინციპი წარმოადგენს რა სამოქალაქო საქმის გადაწყვეტის ქვაკუთხედს, მისი დაცვა არა მხოლოდ მხარეებს, არამედ სასამართლოს პირდაპირი მოვალეობაა. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ სწორედ ვერ განსაზღვრა მტკიცების საგანი, რამაც განაპირობა არსებითად არასწორი გადაწყვეტილების მიღება. სააპელაციო სასამართლომ, ისე რომ არ დაუდგენია, ესწრებოდა თუ არა კრებას მოსარჩელის დირექტორი, მიიჩნია, რომ კრება გაიმართა პარტნიორთა 100%-იანი მონაწილეობით და, შესაბამისად, კანონიერად.

24. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ დირექტორის პასუხისმგებლობის წინაპირობები ვერ დაამტკიცა, ვინაიდან იგი არ მონაწილეობდა მესამე მოპასუხის დაფუძნებაში. გარდა 2015 წლის 8 ივლისის პარტნიორთა კრების ოქმისა, საქმეში წარმოდგენილია შვილობილი კომპანიის 2015 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება მესამე მოპასუხის დაფუძნების შესახებ. შვილობილი კომპანიის დირექტორი კი იყო პირველი მოპასუხე, შესაბამისად, სწორედ მისი გადაწყვეტილებით დაფუძნდა მესამე კომპანია. გარდა ამისა, უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ კომპანიის საკუთრებაში არსებული 10 მილიონი ლარის ქონება გადასცა მეოთხე მოპასუხეს, რომლის დირექტორიც მისი შვილია, ხოლო 100% წილის მფლობელი პარტნიორი მისი ოჯახის წევრი, რომ მესამე მოპასუხეს არანაირი სარგებელი არ უნახავს. ამდენად, ნათელია, რომ პირველი მოპასუხე მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად, თავისი და არა კომპანიისა და პარტნიორის ინტერესების გათვალისწინებით.

სამოტივაციო ნაწილი:

25. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

26. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ - სსსკ-ის) 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა კასატორის არგუმენტების გაცნობის შემდეგ მიიჩნევს, რომ ამ კუთხით მას დასაბუთებული საკასაციო შედავება არ წარუდგენია.

27. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელი აღძრულია დედა კომპანიის მიერ შვილობილი კომპანიის დირექტორის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. პირველ რიგში,

უნდა დადგინდეს წარდგენილი სარჩელი პირდაპირი სარჩელია თუ დერივაციული. პარტნიორს დირექტორის წინააღმდეგ შეუძლია, ორი საშუალებით იდავოს: პირდაპირი (ინდივიდუალური) სარჩელითა და დერივაციული სარჩელით. ამასთან, სასამართლო თავად ახდენს სარჩელის კლასიფიკაციას და მოსარჩელის კლასიფიკაცია არ არის სავალდებულო. სარჩელების განსამიჯნად უნდა გაირკვეს, ვის ეკუთვნის სარჩელი - პარტნიორს ინდივიდუალურად თუ - როგორც კომპანიის სასარგებლოდ მოქმედს? ვინ განიცადა საზარაუდო ზიანი? საწარმოში თუ სარჩელის შემტანმა პარტნიორმა და ვინ მიიღებს სარგებელს ანაზღაურებით? პალატა განმარტავს, რომ დერივაციული სარჩელის დროს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება პირდაპირ აისახება კომპანიაზე, შესაბამისად, როგორც წესი, კრედიტორებიც იღებენ სარგებელს, ისევე, როგორც კომპანიის სხვა პარტნიორები. პირდაპირი სარჩელის დროს კი, სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგი აისახება მხოლოდ სარჩელის შემტან პარტნიორზე და კრედიტორები და სხვა პარტნიორები ვერ მიიღებენ სარგებელს (მდრ. სუსგ. №ას-1053-973-2017, 29 დეკემბერი, 2017 წელი). განსახილველ სარჩელის ფარგლებში, მოსარჩელე მოითხოვს მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. მოთხოვნის შინაარსიდან გამომდინარე, ეს სარჩელი ეკუთვნის პარტნიორს პირადად.

28. მოპასუხეთა შესაგებლის მიხედვით, რადგან პარტნიორმა კომპანიის სახელით არ წარადგინა მოთხოვნა, იგი არასათანადო მოსარჩელეა. პალატა განმარტავს, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით პარტნიორისათვის დერივაციული სარჩელის წარდგენის შესაძლებლობის მინიჭება (სარჩელის აღძვრის პერიოდში მოქმედი კანონის 46-ე მუხლის მე-5 ნაწილი - თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ არ განახორციელა საკუთარი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, პარტნიორს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ, თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი მიიჩნევა სათანადო მოსარჩელედ, თუ საზოგადოება პარტნიორის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში არ აღძრავს სარჩელს მესამე პირის წინააღმდეგ ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს. სასამართლოს მიერ პარტნიორის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში საზოგადოება ვალდებულია აუნაზღაუროს პარტნიორს სარჩელთან დაკავშირებული, კეთილგონიერების ფარგლებში განეული სასამართლოსგარეშე ხარჯები, ადვოკატის ხარჯების ჩათვლით. საზოგადოება თავისუფლდება ამ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობისაგან. თუ იგი დაამტკიცებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილება საზოგადოებისათვის საზიანო აღმოჩნდა. თუ პარტნიორი მიჩნეულ იქნა არასათანადო მოსარჩელედ ან მისი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, პარტნიორს ეკისრება საზოგადოების მიერ კეთილგონიერების ფარგლებში განეული იმ ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება, რომლებიც წარმოიშვა პარტნიორის მოთხოვნასთან დაკავშირებით. პარტნიორის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია გადაუვადოს მას სასამართლო ხარჯების ანაზღაურება) პარტნიორის მიერ დირექტორის წინააღმდეგ პირდაპირი სარჩელის წარდგენის უფლებამოსილებას არ გამოორიცხავს. მაგრამ, შეუძლია თუ არა პარტნიორმა დირექტორის წინააღმდეგ იდავოს პირდაპირი სარჩელით ამ უკანასკნელის მიერ ფიდუციური მოვალეობების დარღვევის საფუძველით? - ზოგადი წესის თანახმად, დირექტორები წარმოადგენენ კომპანიის ინტერესებს და სწორედ ამ უკანასკნელის მიმართ აქვთ ვალდებულებანი. კორპორაციის ინტერესებს მმართველი უნდა მოეპყრას ისე, როგორც ნდობით აღჭურვილი პირი (ფიდუციარი). კორპორაციულსამართლებრივ კონტექსტში ხელმძღვანელი (დირექტორი) საწარმოს და არა მისი აქციონერების/პარტნიორების მიმდობილი პირი - მისი ფიდუციარია. აქციონერების / პარტნიორების ურთიერთობა კი განპირობებულია სწორედ „საწარმოს საუკეთესო ინტერესით“, ვინაიდან სწორედ აქციონერია /პარტნიორია საწარმოს წარმატების მთავარი მოსურნე და მისი მთავარი მოსარგებლე (ბენეფიციარი) (იხ. ჯუღელი გ., დირექტორთა პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე ახალი სასამართლო პრაქტიკის შედარებით სამართლებრივი მიმოხილვა. ჟურ. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა). დირექტორების მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ისინი პოტენციურად პირდაპირ ზიანს აყენებენ სწორედ კომპანიას, თუმცა არაპირდაპირ ზიანს აყენებენ პარტნიორებსა თუ კრედიტორებს (იხ. ლაშა ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას. „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2016წ., გვ. 96). პირდაპირი სარჩელისას პარტნიორმა თუ აქციონერმა უნდა დაამტკიცოს პირადად, ინდივიდუალური ზიანის არსებობა, რომელიც მას მიადგა დირექტორის ქმედებით. დერივაციული სარჩელის იურიდიულად აღიარებამ კი პარტნიორს/აქციონერს მიანიჭა უფრო ფართო შესაძლებლობა, დაეცვა საკუთარი ინტერესები კორპორაციაში. ფართო შესაძლებლობაში იგულისხმება ის გარემოება, რომ პარტნიორს აღარ უწევს პირადი ზიანის არსებობის დადასტურება, მაშინ, როდესაც კორპორაცია ზიანის უშუალო ობიექტია. შესაბამისად, პირდაპირი სარჩელის დროს არ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ კორპორაციას მიადგა ზიანი ან დაირღვა კორპორაციისადმი ვალდებულებები. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, პარტნიორი დირექტორის მიერ სწორედ ფიდუციური მოვალეობის დარღვევას აფუძნებს სასარჩელო მოთხოვნას. პალატა მიიჩნევს, რომ, მიუხედავად ამისა, პარტნიორის სარჩელი დასაშვებია იყო, რამდენადაც მოსარჩელე სარჩელს სწორედ იმას აფუძნებს, რომ დირექტორის მოვალეობების დარღვევამ საწარმოს გაკოტრება გამოიწვია. ამგვარ სარჩელებს სხვა ქვეყნის საკორპორაციო სამართალიც იცნობს, მაგალითად - ამერიკის შეერთებული შტატები, გარდა დერივაციული სარჩელისა, იცნობს კომპანიის აქციონერის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, თუკი კომპანიის არასწორად მართვამ ამ უკანასკნელის დაშლა ან გაკოტრება გამოიწვია (Mismanagement of the Company) (იხ. ლაშა ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას. „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2016წ., გვ.107).

29. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელი აღძრულია პარტნიორის მიერ, რომელიც თავის შვილობილ, ამაჟამად ლიკვიდირებულ საწარმოში 62.41%-წილს ფლობდა. სარჩელი ეფუძნება იმას, რომ „პირველი მოპასუხის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მესამე მოპასუხის დაფუძნებისა და მისთვის ქონების გადაცემის შესახებ, რასაც ერთი წლის შემდეგ მოჰყვა კომპანიის გაკოტრება იყო დირექტორის ბრალეული ქმედების შედეგი. ამ ქმედებით მან დაარღვია კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ მართვის მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 9.6 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება“ „2015 წლის 8 ივლისს მოსარჩელე კომპანიისაგან ფარულად, შვილობილი კომპანიის დირექტორი და შვილობილი კომპანიის მიორი პარტნიორი იღებენ გადაწყვეტილებას დააფუძნონ

ახალი კომპანია - მესამე მოპასუხე და სანესდებო კაპიტალში შერტანონ უძრავ/მოძრავი ქონება, რომელთა ჯამური ღირებულება 9 725 454 ლარია. 2015 წლის 6 ოქტომბერს კი პ-ა ჰ-გი და ხ-ის ოჯახის წევრის მიერ კონტროლირებადი კომპანია „ს. ე. ს.“ იღებენ გადაწყვეტილებას დააფუძნონ პ-ა, რომელსაც პ-ა ჰ-მა გადასცა ამ უკანასკნელისათვის პ-ა ფ-ის მიერ გადაცემული ქონება. ეს გადაწყვეტილებაც ხ-მა მიიღო. ამის შემდეგ, პ-გი ასხვისებს საკუთარ წილს პ-ში და კარგავს კონტოლს სადავო ქონებაზე“ (იხ. დაზუსტებული სარჩელი ტ. 3, ს.ფ.).

30. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მესამე კომპანია დაფუძნდა შვილობილი კომპანიის 2015 წლის 8 ივლისის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით. შესაბამისად, დავის გადაწყვეტისათვის არსებითია პარტნიორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების ნამდვილობა (რომლის ჩატარების კანონშესაბამისობას მოსარჩელე სადავოდ ხდის), ვინაიდან თუ დადგინდა, რომ მესამე მოპასუხის დაფუძნებისა და მასში ქონების გადატანის გადაწყვეტილება მოსარჩელემ, როგორც შვილობილი კომპანიის პარტნიორმა, თავად მიიღო (აღსანიშნავია, რომ იგი დომინანტი პარტნიორი იყო), სარჩელი თავისთავად უკვე წარუმატებელი იქნება, რამდენადაც სასარჩელო მოთხოვნა სწორედ იმ ფაქტს ეფუძნება, რომ მესამე კომპანიის დაფუძნებამ და მასში ქონების გადატანამ შვილობილი საწარმო გაკოტრებამდე მიიყვანა. შესაბამისად, ის, რაზეც მოსარჩელემ, როგორც პარტნიორმა, თავად მიიღო გადაწყვეტილება, ბუნებრივია, დირექტორს ან სხვა პირებს ვერ მოედავება.

31. მოპასუხის (კასატორის მოწინააღმდეგე მხარის) შედავების მიხედვით, მოსარჩელეს კრების ოქმი არ გაუსაჩივრებია, შესაბამისად, მისი ნამდვილობა მტკიცების საგანში არ უნდა შესულიყო და სასამართლოს ოქმის ბათილობაზე არ უნდა ემსჯელა. პალატა ამ მოსაზრებას არ იზიარებს და მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სწორად იმსჯელეს კრების გადაწყვეტილების ნამდვილობაზე. პალატა განმარტავს, რომ, როდესაც სარჩელის მიზანი სუბიექტური უფლების მიკუთვნებაა, როგორც წესი, კრების ოქმის/გარიგების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის მტკიცებისათვის დამოუკიდებელი მოთხოვნის დაყენება აუცილებელი არ არის და გარიგების ბათილობა აღნიშნული უფლების დაბრუნების წინაპირობად განიხილება. ამდენად, გარიგების ბათილობის მოთხოვნის გარეშეც, მიკუთვნებით მოთხოვნას იურიდიული საფუძველი აქვს, რის გამოც სადავო ოქმის კანონშესაბამისობის შემოწმება, სასარჩელო მოთხოვნიდან გამომდინარე, არსებითია (შდრ. სუსგ № ას-1208-1153-2013; 29 ივლისი, 2016 წელი. ასევე, შდრ. უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებას (საქმე № ას-664-635-2016 2 მარტი, 2017 წელი) „განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელების მოთხოვნა წილებზე საკუთრების უფლების აღდგენა (დაბრუნება), ე.ი. მათ მიერ მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელია აღძრული. მოთხოვნის საფუძვლების დადგენისა და შემოწმების შემდეგ, გარიგებების ბათილობა ფაქტობრივ წინაპირობად უნდა იქნეს მიჩნეული და არა დამოუკიდებელ მოთხოვნად. შესაბამისად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სწორედ აღსრულებითი სარჩელის განხილვის შედეგი და არა კონკრეტულ გარიგებათა ბათილად ცნობა მიეთითება, რადგან თავისთავად გარიგების ბათილად ცნობა არ იწვევს რაიმე იურიდიულ შედეგს, თუკი წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით აღიარებითი სარჩელი არ იხილება. დიდი პალატა ზემოხსენებული მსჯელობისა და სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით აღნიშნავს, დაუსაბუთებელია კასატორთა მტკიცება, რომ სადავო წილის ნასყიდობის ხელშეკრულებები დამონმებული იყო ნოტარიუსის მიერ, ასევე, წილის გასხვისებაზე თანხმობა საწარმოს პარტნიორთა კრების ოქმით იყო დადასტურებული და შესაბამისად, კონკრეტული საწარმოო აქტების ბათილობის გარეშე შეუძლებელია ამ აქტებით დადასტურებული გარიგებების იურიდიული შედეგის შეცვლა. როგორც არაერთხელ აღინიშნა, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის შემოწმება სასამართლოს პრეროგატივაა, შესაბამისად, სასამართლოს მიერ კანონის წორმის მოძიება, რომელიც განსაზღვრული შემადგენლობის წილების არსებობისას ერთ მხარეს ანიჭებს უფლებას, მეორე მხარისაგან მოითხოვოს შესრულება, მოქმედება ან თავის შეკავება, არ საჭიროებს ამ მოთხოვნის იურიდიული შედეგის მიღწევის თვალსაზრისით, კონკრეტული გარიგების თუ აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნის დამოუკიდებლად დაყენებას.“ ამასთან, ერთ-ერთ საქმეში (№ ას-.....-2019, 30 სექტემბერი, 2020 წელი) საკასაციო სასამართლომ სარჩელი განუხილველად დატოვა, რადგან მოსარჩელე მხოლოდ პარტნიორთა კრების ოქმით მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობას ითხოვდა, მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენის გარეშე).

32. მოსარჩელის პრეტენზიის მიხედვით, 2015 წლის 8 ივლისის პარტნიორთა კრებას არ ესწრებოდა მოსარჩელის წარმომადგენელი - მისი დირექტორი, ოქმში კი მითითებულია, რომ იგი კრებას ესწრებოდა და წარმოადგენდა მოსარჩელეს. მოსარჩელის დირექტორის სადავო პარტნიორთა კრებაზე დაუსწრებლობას მოსარჩელე ამტკიცებს საქმეში წარმომადგენელი 2016 წლის 14 სექტემბრის ელექტრონული წერილით, რომელიც დირექტორმა გაუგზავნა ა. ჰ-ონს, ო. ნ-ას, ვ. დ-ნს, ვ. გ-ლს და სადაც იგი მიუთითებს, რომ არ ესწრებოდა კრებას და არც კრების გამართვის შესახებ ჰქონდა ინფორმაცია (ტ. 2, ს.ფ.). მოსარჩელის მითითებით, ეს არის მოწმის ჩვენება (ტ. 2, ს.ფ. ...). პალატა მიუთითებს, რომ სსსკ-ის 105-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამდენად, სასამართლო სადავო გარემოებათა არსებობა-არარსებობის დადგენისას, ინდივიდუალურად და ერთობლივად აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რის შედეგად აყალიბებს თავის შინაგან რწმენას გამოსაკვლევი საკითხის მიმართ.

33. პალატა განმარტავს, რომ მტკიცებულებათა სახეები ამომწურავადაა განსაზღვრული სსსკ-ის 102.2 მუხლით (ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით). ახსნა-განმარტება მიიღება მხარეებისაგან (სსსკ-ის 127.1 მუხლი), ხოლო ის პირი, რომლისთვისაც ცნობილია რაიმე გარემოება საქმის შესახებ, საქმეზე დაიშვება მოწმედ. მოწმე გამოიძახება და დაიკითხება სასამართლო პროცესზე (სსსკ-ის 140-ე მუხლი) და იგი განიხილავს აძლევს ზეპირად (სსსკ-ის 150-ე მუხლი). ამასთან, სსსკ-ის 148-ე მუხლი ითვალისწინებს მისი დაკითხვის სპეციალურ წესებს, რომელთა შორის მნიშვნელოვანია, მხარეთა და

მოსამართლის მიერ მოწმისათვის შეკითხვების დასმის უფლება, რა დროსაც გამოიკვეთება მოწმის ჩვენების, როგორც მტკიცებულების სანდოობისა და დამაჯერებლობის ხარისხი, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსამართლის მიერ მტკიცებულებასთან მიმართებით შინაგანი რწმენის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე კომპანიის დირექტორის, რომელიც არც მხარეა და არც მოწმედ არ დაკითხულა სასამართლოში, ელექტრონული წერილი მოწმის ჩვენებას ვერ გაუთანაბრდება. პალატა მიიჩნევს, რომ იმ პირის ელექტრონული წერილი, რომელიც ვინმე შესაძლოა პირების მისამართით აღნიშნავს, რომ მათი წერილით შეიტყო კრების ჩატარების შესახებ და კრებას არ დასწრებია, სადავო ფაქტის დასადასტურებლად არასათანადო და არასაკმარისი მტკიცებულებაა. უფრო მეტიც, მასში გადმოცემული შინაარსი სასამართლოსთვის არადამაჯერებელიცაა. დადგენილია, რომ, საბოლოოდ, 2015 წლის 8 ივლისის კრების ოქმი წარდგენილ იქნა და დარეგისტრირდა რეესტრში იმავე დღეს (ტომი III, ს.ფ. ...-...), ნაკლებ სარწმუნოა, რომ შვილობილი კომპანიის პარტნიორთა კრებამ (მათ შორის, დომინანტი პარტნიორის - მოსარჩელის დირექტორის სახელით) გადაწყვეტილება მიიღო კომპანიის ქონების გასხვისების თაობაზე, რაც იმავე დღეს დარეგისტრირდა რეესტრში და წელიწადზე მეტი (15 თვე) ამის შესახებ თავად პარტნიორმა (დირექტორმა) არაფერი იცოდა. მით უფრო, რომ შვილობილი კომპანიის წესდება საზოგადოების პარტნიორის (ამ შემთხვევაში მოსარჩელის დირექტორის) საზოგადოების მართვაში მონაწილეობის მიღებისა და საზოგადოების ხელმძღვანელობისათვის კონტროლის უფლებებს ადგენდა (წესდების მე-5 მუხლი). ამდენად, სასამართლოსთვის წერილის შინაარსიც არადამაჯერებელია. წერილი მით უფრო ვერ იქნება განხილული სადავო ფაქტის დასადასტურებელ მტკიცებულებად, რომ ის არ არის გამყარებული საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

34. მოსარჩელის პრეტენზიის მიხედვით, სადავო ფაქტს ადასტურებს ისიც, რომ ოქმს ხელს აწერს მხოლოდ მეორე პარტნიორის დირექტორი. საკასაციო პალატა მიუთითებს სადავო კრების ჩატარების დროისათვის (2015 წლის 8 ივლისი) მოქმედ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9^{1.3} მუხლზე, რომლის თანახმად, პარტნიორთა კრების მონაწილენი თავიანთი შემადგენლობიდან ხმების უბრალო უმრავლესობით ირჩევენ თავმჯდომარეს. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების მიღებისთანავე თავმჯდომარე ადგენს და ხელს აწერს ოქმს. ანალოგიურ წესს ადგენს შვილობილი კომპანიის წესდების 3.4 მუხლიც (პარტნიორთა კრების მონაწილენი თავიანთი შემადგენლობიდან ხმების უბრალო უმრავლესობით ირჩევენ თავმჯდომარეს. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების მიღებისთანავე თავმჯდომარე ადგენს და ხელს აწერს ოქმს - იხ. ტომი 4, ს.ფ. ...).

35. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მეორე მოპასუხე არჩეულ იქნა სადავო პარტნიორთა კრების თავმჯდომარედ. საქმეში წარმოდგენილი პარტნიორთა 2015 წლის 8 ივლისის კრების ოქმი ხელმოწერილია ამ უკანასკნელის მიერ (კრების ოქმზე კრების თავმჯდომარის ხელმოწერის საკმარისობის თაობაზე იხ. სუსგ №ას-1319-2018 , 21 მაისი, 2021 წელი). საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ მენარმეთა შესახებ კანონი პირდაპირ არ მიუთითებს, თუ როგორ უნდა შედგეს შპს-ის პარტნიორთა კრების ოქმი, თუმცა „იგი უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ სად და როდის შედგა კრება. მითითებული უნდა იყოს, თუ ვინ ესწრება კრებას, წესდების შესაბამისად არის თუ არა კრება გადაწყვეტილებასთანაირი; მითითებული უნდა იქნეს განსახილველი საკითხი და განსახილველ საკითხთან დაკავშირებით პარტნიორთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები. ოქმი მკაფიოდ უნდა ასახავდეს კენჭისყრის შედეგებს და ხელს უნდა აწერდეს თავმჯდომარე“ (იხ. ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, თბილისი, 2002, გვ. 296). პალატა მიიჩნევს, რომ სადავო კრების ოქმი შედგენილია ყველა წესის დაცვით.

36. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ 2015 წლის 8 ივლისის კრების ოქმი წარდგენილი იქნა და დარეგისტრირდა რეესტრში იმავე დღეს. საქმის მასალებში არ მოიპოვება მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მისი მოთხოვნის საფუძველზე მიმდინარეობდა მესამე მოპასუხის, როგორც კანონსაწინააღმდეგო რეგისტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებით რაიმე წარმოება. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება წარმოადგენს პარტნიორის (აქციონერის) ერთ-ერთ მნიშვნელოვან კორპორაციულსამართლებრივ უფლებას. იგი კონტროლის უფლების შემადგენელ ნაწილად მიიჩნევა. მეორე მხრივ კი - თუ ფორმალური წინაპირობების დარღვევის გარეშეა წარმართული საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება, სამართლიანია და არსებითად შეესაბამება საზოგადოების ინტერესებს და საწარმოს ძირითად პოლიტიკას.

37. ამდენად, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ პარტნიორთა 2015 წლის 8 ივლისის კრება, რომელსაც ესწრებოდა ყველა პარტნიორი, გაიმართა კანონშესაბამისად, პროცედურული წესების დაცვით და მასზე მიღებული გადაწყვეტილება - შვილობილი კომპანიის დაარსებისა და მასში ქონების შეტანის შესახებ, მართლზომიერია. ამდენად, გადაწყვეტილების ბათილობის წინაპირობა მოსარჩელემ, სსსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, ვერ დაამტკიცა.

38. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საერთო კრება საზოგადოების (შპს) მართვის უმაღლესი ორგანოა. ყველა გადაწყვეტილება, რომელიც საწარმოს ძირითად ინტერესებს შეეხება, მიიღება საერთო კრების მიერ. პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. პარტნიორთა კრების კომპეტენცია, კრების ჩატარების წესი და გადაწყვეტილების მიღების პროცედურა განისაზღვრება მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონით ან/და საწარმოს წესდებით. დირექტორის კომპეტენცია და პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კანონით ან/და წესდებით. საწარმოს მართვის ორგანოების სტრუქტურა, შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება მისი წესდებით („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლი). მოცემულ შემთხვევაში კი, მოსარჩელე თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხზე და თავისსავე გადაწყვეტილებაზე ედავება დირექტორს, რომლის კომპეტენციას არც კანონითა და არც წესდებით არ განეკუთვნებოდა შვილობილი საწარმოს დაარსებისა და მისთვის ქონების გადაცემის საკითხის გადაწყვეტა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არც „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრინციპისა და „რეალური მართვის“ პრინციპის საფუძველზე, სადავო კრების გადაწყვეტილება, რომელიც სასამართლოსთვის დადგენილია, არაა დადგენილი.

აოიუესუფციაა ოელეფაიუიოი ოოცესუიო საეესუთაი ოიოიოიუიოი, ოადგას საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პრეზუმფცია დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მართებულობის შესახებ გამოიყენება. მოცემულ შემთხვევაში, გადაწყვეტილება დირექტორის მიერ არ მიღებულა. შესაბამისად, სასამართლო არ იყენებს დირექტორის ბიზნეს - გადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფციას და მით უფრო არ მსჯელობს თავად გადაწყვეტილების შინაარსსა და მის სისწორეზე.

39. კასატორი იმაზეც აპელირებს, რომ, გარდა 2015 წლის 8 ივლისის პარტნიორთა კრების ოქმისა, საქმეში წარმოდგენილია შვილობილი კომპანიის 2015 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება მესამე მოპასუხის დაფუძნების შესახებ. შვილობილი კომპანიის დირექტორი კი იყო პირველი მოპასუხე, შესაბამისად, არასწორია დასკვნა, რომ დირექტორს მესამე კომპანიის დაფუძნების გადაწყვეტილება არ მიუღია. პალატა მიუთითებს, რომ შვილობილი საწარმო დამოუკიდებელი იურიდიული პირია, თუმცა ასეთი საწარმოს ნება დამოკიდებულია მისი დამფუძნებლების ნებაზე, რომლის გამოვლინებაც ხდება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით. შვილობილი კომპანია იმართება „დედა“ კომპანიის მხრიდან არა პირდაპირი და უშუალო მართვის გზით, არამედ თავად შვილობილი საწარმოს მართვის ორგანოების მეშვეობით, რადგან პირდაპირი მართვა ეწინააღმდეგება იურიდიული პირის დამოუკიდებლობის პრინციპს. მართალია, სანამ დირექტორები დაემორჩილებიან დედა საზოგადოების დირექტივებს, უნდა დაადგინონ ეს გადაწყვეტილება დამოკიდებული (დაკავშირებული) საზოგადოებისათვის სასარგებლოა თუ იგი წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს დედა და შვილობილ კომპანიებს შორის, თუმცა თუ შვილობილი კომპანიის დირექტორი, მიუხედავად დამფუძნებლის გადაწყვეტილებისა, მას არ შეასრულებს, აღნიშნულ შემთხვევაში გამოკვეთილი ე.წ. შიდა დაუმორჩილებლობა შესაძლებელია პარტნიორის მიერ ხელმძღვანელის მიმართ ზიანის ანაზღაურების საფუძველი გახდეს ან/და მოხდეს მისი შეცვლა სამენარმო რეესტრში (მდრ. სოფიო მაჭავარიანი, კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში, თბილისი, 2015). პალატა, კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ შვილობილი კომპანიის დაფუძნება პარტნიორთა კრების უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა (და არა დირექტორის) და სწორედ მისი გადაწყვეტილებით დაფუძნდა მესამე მოპასუხე. გარდა ამისა, კასატორის აპელირება, რომ პარტნიორთა გადაწყვეტილებასთან ერთად, სამენარმო რეესტრში წარდგენილ იქნა შვილობილი კომპანიის (რომლის დირექტორიც გახლდათ პირველი მოპასუხე) გადაწყვეტილება მესამე მოპასუხის დაფუძნებისა და მის კაპიტალში 9725 454 ლარის უძრავ/ მოძრავი ქონების შეტანის შესახებ, დაუსაბუთებელია იმიტომაც, რომ ამ გადაწყვეტილებით დირექტორმა პარტნიორთა გადაწყვეტილება შეასრულა. პალატა, ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მიუთითებს, რომ შესაძლოა, დირექტორი არ დაემორჩილოს პარტნიორთა გადაწყვეტილებას, თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი გადაწყვეტილებას ასრულებს, მაჟორიტარი პარტნიორი, რომელმაც მხარი დაუჭირა გადაწყვეტილებას, არ არის ის პირი, რომელსაც შეუძლია ედავოს დირექტორს, რატომ შეასრულა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება, თუნდაც ეს გადაწყვეტილება არ იყოს სასარგებლო შვილობილი კომპანიისთვის.

40. რაც შეეხება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ სხვა ფაქტობრივ გარემოებებს, რომელიც სადავო პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების შემდგომ განვითარდა (მესამე მოპასუხემ სხვა კომპანიასთან ერთად, რომლის დირექტორი პირველი მოპასუხის შვილი იყო (მეექვსე მოპასუხე), ხოლო 100% წილის მფლობელი პარტნიორი პირველი მოპასუხის მეუღლე, დააფუძნა მეოთხე მოპასუხე და ამ უკანასკნელის კაპიტალში შეიტანა 9725 454 ლარის ღირებულების სადავო უძრავი ქონება. დაფუძნებიდან 9 დღეში (2015 წლის 15 ოქტომბერს) კი, მესამე მოპასუხემ თავისი წილი (მეოთხე მოპასუხე კომპანიაში) 3 000 000 ლარად გაასხვისა), პალატა ამასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ, მიუთითებს, რომ მოსარჩელე პირველი მოპასუხის მიმართ სარჩელს ამ უკანასკნელის მიერ დირექტორის ფიდუციური მოვალეობის დარღვევას აფუძნებს (სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად კი, მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები). დადგენილია, რომ პირველი მოპასუხე მხოლოდ შვილობილი საწარმოს დირექტორი იყო. შესაბამისად, 2015 წლის 6 ოქტომბრის მეოთხე მოპასუხის დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილება თუ 2015 წლის 15 ოქტომბრის წილის გასხვისების შესახებ გადაწყვეტილება ფიდუციური მოვალეობის დარღვევის კონტექსტით ვერ შეფასდება.

41. მოსარჩელე იმაზეც აპელირებს, რომ დირექტორმა თავისი მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებით მიაყენა პარტნიორს ზიანი, შესაბამისად, სასამართლოს სსკ-ის 992-ე მუხლის (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი) საფუძველზე უნდა დაედგინა ზიანის ანაზღაურების წინაპირობები. პალატა მიუთითებს, რომ შიდა პასუხისმგებლობისაგან უნდა გაიმიჯნოს გარე პასუხისმგებლობა, როდესაც კომპანიას კი არ გააჩნია მოთხოვნა დირექტორის მიმართ, არამედ მის მიერ ჩადენილი დელიქტის შედეგად, მხარე, რომელიც დელიქტის გამო დაზარალდა (პარტნიორი, კრედიტორი), უფლებამოსილია, წარადგინოს სარჩელი უშუალოდ დირექტორის მიმართ. საწარმოს მიმართ გაკოტრების საქმისწარმოება ვერ დააბრკოლებს აღნიშნული სარჩელის წარდგენას (იხ. ლაშა ცერცვაძე, დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას. „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2016წ. გვ. 305).

42. კანონით გათვალისწინებული დელიქტური ვალდებულების წინაპირობებია: მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის, ზიანის მიმეცნებლის ბრალი. პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული ოთხივე წინაპირობა (გენერალური დელიქტი). სანამ შემოწმდება, მოქმედებდა თუ არა პირველი მოპასუხე მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად, უნდა დადგინდეს საერთოდ სახეზეა თუ არა რაიმე მოქმედება. მოთხოვნის საფუძველი გამოირიცხება თუ ნორმის პირველივე წინაპირობა არარსებობს. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე დირექტორის მართლსაწინააღმდეგო ქმედებად ამ უკანასკნელის მიერ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.6 მუხლით განმტკიცებულ ფიდუციური მოვალეობის დარღვევას უთითებს. დადგინდა, რომ გადაწყვეტილება, რომლის მიღებითაც მოსარჩელე დირექტის

ფიდეციური მოვალეობების დარღვევის დამტკიცებას ცდილობდა, დირექტორს არ მიუღია. შესაბამისად, უსაფუძვლოა პირველი მოპასუხის მიმართ სსკ-ის 992-ე მუხლის სხვა წინაპირობების არსებობის კვლევაც.

43. საკასაციო პალატა, კიდევ ერთხელ, აღნიშნავს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამოიწვია მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგს (შდრ., სუსგ №ას-1817-2019, 15 ივნისი, 2020 წელი). თავის მხრივ, მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავს სარჩელის მოთხოვნის შინაარსს (სსსკ-ის მე-4 მუხლი). განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან მოსარჩელემ ვერ შეძლო თავისი მტკიცების ტვირთის რეალიზება და სადავო კრების ოქმის ბათილობის წინაპირობების დადასტურება, ზიანის ანაზღაურების შესახებ მის მოთხოვნას პირველი მოპასუხის მიმართ საფუძველი არ გააჩნია, რამდენადაც დადგინდა, რომ გადანყვეტილება რომლის მიღებითაც დირექტორს ფიდეციური ვალდებულებების დარღვევას ედავებოდა, ამ უკანასკნელს არ მიუღია. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა დანარჩენ მოპასუხეთა მიმართაც.

44. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს კასატორის პროცესუალუ-სამართლებრივ მოთხოვნას, რომლითაც იგი გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას მოითხოვდა. საკასაციო სასამართლომ სადავო ფაქტები შეაფასა საპროცესო წესების დაცვით მიღებულ მტკიცებულებათა ფარგლებში (სსსკ-ის 407-ე მუხლი). საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობდა საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების სსსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი.

45. სსსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

46. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 410-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „გ. ფ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 30 მაისის განჩინება და ამავე სასამართლოს 2019 წლის 6 ივნისის დამატებითი განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოსამართლეები:

ლევან მიქაბერიძე

მირანდა ერემაძე

ვლადიმერ კაკაბაძე

